მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია

მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია

თბილისი
2020

ანგარიშის გამოცემაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი მიგნებები 8

მეთოდოლოგია 10

საარჩევნო დავებთან დაკავშირებული კანონმდებლობა. 12

საკანონმდებლო ცვლილებები. 12

საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია 13

ადმინისტრაციული საქმეების მორიგეობის წესით განხილვა 15

მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში / კოლეგიებში
კონკურსის წესით 17

მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში / კოლეგიებში
კონკურსის გარეშე 20

მოსამართლეთა გადაადგილება სააპელაციო სასამართლოებისა და რაიონული
(საქალაქო) სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში . . 25

დასკვნა 27

დანართი N1. 28

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას თავისი წარმომადგენლების [...] მეშვეობით ახორციელებს. თავის მხრივ, კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს [...] სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სწორედ არჩევნებია ხელისუფლების კონტროლის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი, რომლის შედეგები მოქმედი პოლიტიკური ძალის, მის მიერ განხორციელებული მმართველობის სტილის, პოლიტიკისა თუ ქმედებების მიმართ საზოგადოების განწყობებსა და დამოკიდებულებებს ასახავს. ის ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის შესაძლებლობაა, რომელიც ამავე დროს, განსაზღვრავს იმასაც, თუ რა მიმართულებით განვითარდება ქვეყანა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

არჩევნები ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პროცესია, რომლის დროსაც საზოგადოება თავის პოლიტიკურ პრეფერენციებს ავლენს, როდესაც ხმას აძლევს მისთვის სასურველ კანდიდატსა თუ პოლიტიკურ პარტიას. შედეგად კი, აკომპლექტებს და ლეგიტიმაციას აძლევს ხელისუფლებას. სწორედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს პროცესი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლების მხრიდან.

არჩევნების შედეგების ლეგიტიმურად ცნობისთვის, აუცილებელია, რომ იგი დარღვევების გარეშე, კანონის ნორმების სრული დაცვით წარიმართოს. ამის გარანტორი კი, თავის მხრივ, სასამართლო ხელისუფლებაა.

არჩევნების წინა და მომდევნო პერიოდში, ასევე, უშუალოდ არჩევნების დღეს, ხშირია პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებები, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფები. იკვეთება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევები - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე ან რამდენჯერმე ხმის მიცემის ე.წ. „კარუსელის“ შემთხვევები, საარჩევნო უბნიდან ოპოზიციონერი პარტიისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების უკანონოდ გაძევების ფაქტები, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის მცდელობები და სხვ. როგორც გასული წლების პრაქტიკა აჩვენებს, ამ პერიოდში სასამართლოებში შესული საარჩევნო დავებისა თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიცხვი საკმაოდ მაღალი, ხოლო ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი მოსამართლეების დატვირთულობაც - საგრძნობლად გაზრდილია. დარღვევის სიმძიმისა თუ მასშტაბის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ ამა თუ იმ უბანზე არჩევნების შედეგების ბათილად ცნობამ, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, გარდამტეხი როლი შეასრულოს და გამარჯვება მოუტანოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან მაჟორიტარ კანდიდატს. შესაბამისად, ძალზე დიდია ამ პროცესში სასამართლოს ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა, რომლის უპირველესი მოვალეობა საარჩევნო დავებზე დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაა.

სწორედ ამ მაკონტროლებელი ფუნქციის გამო, მმართველი პოლიტიკური ძალები, საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის ცდილობდნენ სასამართლო ხელისუფლების კონტროლს, ან მასთან „კეთილგანწყობილი“ ურთიერთობის დაჭერას, რათა ჰქონოდათ იმედი და მოლოდინი, რომ სასამართლო იქნებოდა მათი მითითებების შემსრულებელი ან/და არ მიიღებდა მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. ამგვარი ურთიერთობა, საქართველოს მსგავსი მყიფე დემოკრატიის ქვეყნებში, მმართველი პოლიტიკური ძალებისათვის განსაკუთრებით გამოსადეგი ხდება სწორედ არჩევნების პერიოდში (და არამხოლოდ[1]), როდესაც ყველანაირი საშუალებით ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას და სასამართლო ხელისუფლებასთან ზემოთ

1 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, „2019 Country Reports on Human Rights Practices: Georgia“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/reports/2019-country-reports-on-human-rights-practices/georgia/

ხსენებულ ურთიერთობებს იყენებენ საარჩევნო დავების მათ სასარგებლოდ გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

ამგვარი „თანამშრომლობითი“ ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო 2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ პირებით დაკომპლექტება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მმართველ პარტიასთან ან/და სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთანაა დაკავშირებული და მიუხედავად იმისა, რომ მათი როგორც კვალიფიკაცია, ისე კეთილსინდისიერება მრავალ კითხვას ბადებდა[2], მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა ამ კანდიდატებს ერთპარტიულად დაუჭირა მხარი და ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში უვადოდ (საპენსიო ასაკის მიღწევამდე) განაწესა.

მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან იგივე დამოკიდებულება იკითხებოდა მანამდეც, 2019 წლის პირველ ნახევარში, საერთო სასამართლოების ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებითაც, რომელთა მიხედვით მმართველმა პარტიამ სწორედ ამ ჯგუფის ინტერესები გაითვალისწინა, ხოლო საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დასკვნები და რეკომენდაციების[3] უმეტესი ნაწილი კი - უგულებელყო. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების ორ შტოს შორის ამგვარი თანამშრომლობა და მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების შესრულებისას ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება არამხოლოდ ეწინააღმდეგება ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპს, არამედ მნიშვნელოვნად აფერხებს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის გარანტორი ორგანოს შემადგენლობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ხელში კონცენტრირებული ფართო ძალაუფლების ფლობის პირობებში. სწორედ ეს ორგანოა სასამართლო სისტემის ძირითადი ბირთვი და მართავს მას მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალური მოსამართლე და არამოსამართლე წევრების საშუალებით. 2020 წლის 22 ოქტომბერს იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა ორმა მოსამართლე წევრმა დატოვა.[4] ერთ შემთხვევაში, საბჭოს მდივანმა, გიორგი მიქაუტაძემ, მისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო მეორე შემთხვევაში, რევაზ ნადარაიამ, რომელსაც უფლებამოსილების ვადა 2021 წლის 8 აპრილს გასდიოდა, თანამდებობა ნებაყოფლობით, ვადაზე ადრე დატოვა.

2 Second Report on the Nomination and Appointment of Supreme Court Judges in Georgia – OSCE/ODIHR, 2020. available at: https://www.osce.org/odihr/443494?download=true
Monitors regret appointment of 14 judges by Georgian parliament – Parliamentary Assambly of Council of Europe (PACE). 2019. Available at: http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=7737&lang=2&cat=3&fbclid=IwAR2qKcZpkGYz8y445qIuz1JnjM2-wTWh_u9etVOkDDYnEU9i11Bssy884wY
Statement by the Spokesperson on the appointment of judges to the Supreme Court of Georgia – EU external Action. Available at:https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/72068/statement-spokesperson-appointment-judges-supreme-court-georgia_en
U.S. Embassy's statement on supreme court nominees. Available at:https://ge.usembassy.gov/u-s-embassys-statement-on-supreme-court-nominees-december-12/
The progress of the Assembly's monitoring procedure (January-December 2019) -Parliamentary Assambly of Council of Europe (PACE). 2020. Available at: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=28597&lang=en
Assessment of the Hearings of Supreme Court Judicial Candidates at the Parliament Legal Committee – Coalition for an Independet and Transparent Judiciary. Available at: http://www.coalition.ge/index.php?article_id=234&clang=1

3 ვენეციის კომისიის დასკვნა, 12 აპრილი 2019. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF(2019)007-e
ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დასკვნა, 17 აპრილი, 2019. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
https://www.osce.org/files/f/documents/7/1/417599.pdf
კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წინადადებები.
ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
http://www.coalition.ge/index.php?article_id=200&clang=0

4 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchoorma-tsevrma-datova/3723.

შესავალი

2020 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად, საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენცია დაინიშნა.[5] კონფერენციამ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე, ყოფილი დამოუკიდებელი ინსპექტორი, ქეთევან ცინცაძე და ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე თეა ლეონიძე აირჩია, ხოლო საბჭოს მდივნად - თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე ყოფილი თავმჯდომარე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი.[6] აღნიშნული ფაქტი ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლო სისტემაში არსებული კლანი არჩევნებამდე ცდილობს მნიშვნელოვანი, სტრატეგიული და გავლენიანი თანამდებობების დაკავებას, რათა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კლანისადმი მისაღები და ლოიალური კანდიდატები, მომდევნო 4 წლის ვადით, გარანტირებულად იქნენ წარმოდგენილნი.

კვლევის აუცილებლობა არჩევნების პროცესში სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი როლიდან გამომდინარეობს, ვინაიდან, საარჩევნო დავების გადაწყვეტისას, ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით, არსებობს გავლენებისა და „თანამშრომლობითი“ ურთიერთობის გამოყენების საფრთხეები.

მოცემული დოკუმენტის მიზანი სწორედ იმის კვლევაა, თუ რამდენად შეინიშნებ(ოდ)ა 2019 მაისიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნოდ, მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებსა თუ საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციებში. განსაკუთრებით იმ მოსამართლეებისა, რომლებიც აფილირებულნი არიან სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან (რაზეც მიუთითებს მათი საჯარო განცხადებები თუ პოზიციონირება, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები), არიან „მოწყვლადები“ მათი გავლენების მიმართ (არ არიან თანამდებობაზე უვადოდ გამწესებულები), ან წარსულში გახმაურებული საქმეები აქვთ განხილული, რომლებშიც გადაწყვეტილება ხელისუფლების ინტერესების სასარგებლოდ მიიღეს). ასევე, ყურადღებას გავამახვილებთ იმაზეც, თუ რამდენად დაკომპლექტდა საარჩევნო პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა მორიგეობის სიები ამგვარი მოსამართლეებით. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში, შეფასდება ის საკანონმდებლო ნორმები და მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც გადაადგილდებიან პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეები.

5 იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/news/id/2103.

6 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleta-xxviii-riggareshe-konferentsia/3727.

ძირითადი მიგნებები

- *იმავე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაადგილების, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაწინაურების, მორიგეობის სიის შედგენისა და მასში ცვლილებების შეტანის, სპეციალიზაციის ცვლილებასთან, ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმები, ამ მექანიზმების არასათანადოდ, ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. აჩენს რისკს, რომ მათ საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები, კოლეგიები და საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციები სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირებით დაკომპლექტდეს, რომლებიც ამჟამად მოქმედი ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ;*

- *იმ პირობებში, როდესაც, ხარვეზიანი კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების/კოლეგიების ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობას და მასზევეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხშირად შეიცვლება ეს შემადგენლობა, არსებობს მაღალი რისკი, რომ საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციები ნებისმიერ დროს, მათ შორის, არჩევნების წინა დღესაც, დაკომპლექტდეს ისეთი მოსამართლეებით, რომლებიც, სახელმწიფოს მხრიდან არაჯანსაღი ინტერესის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. ამასთან, ამ რისკებს ზრდის აღნიშნული პროცედურის გაუმჭვირვალობაც, რადგან თავმჯდომარეთა ბრძანებები ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით მოსამართლეთა შემადგენლობასთან დაკავშირებით და მათში შეტანილი ცვლილებები საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა. თბილისის საქალაქო სასამართლო აღნიშნულ ინფორმაციას არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში იძლევა. ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციას მიკუთვნებულ მოსამართლეთა უმრავლესობა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სწორედ საკვლევ პერიოდში განწესდა;*

- *პირველი ინსტანციის სასამართლოებში მორიგეობის სიის შედგენის პროცედურულ საკითხებს, ვადებს, მასში ცვლილებების შეტანის წესსა და მოსამართლეთა თანხმობის საკითხს დღემდე არ ითვალისწინებს არცერთი ნორმატიული აქტი. შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარეებს შესაძლებლობა აქვთ, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მორიგეობის სია, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, წინასაარჩევნოდ სასურველი, ლოიალური მოსამართლეებით დააკომპლექტონ. ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში ყოველდღე 1 მოსამართლე მორიგეობს, რაც შემთხვევითი განაწილების პრინციპის მოქმედებას გამორიცხავს;*

- *სასამართლო სისტემა იმ სიხშირით არ აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს, რასაც მართლმსაჯულების სათანადო და ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს. ამასთან, სასამართლო სისტემა კვლავ ჩაკეტილია ახალი კადრების შესადინებლად. კერძოდ, 2018 წლის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის შედეგად მხოლოდ 3 ახალი კადრი შევიდა სასამართლო სისტემაში, ვაკანტურ თანამდებობათა უმრავლესობა მოქმედმა მოსამართლეებმა დაიკავეს, რომლებიც, თავის მხრივ, უვადოდ გადაინიშნენ თანამდებობაზე. მათი ნაწილი იმავე სასამართლოს იმავე კოლეგიაში დაინიშნა, ნაწილი სააპელაციო სასამართლოში დაწინაურდა, ხოლო ნაწილმა სასამართლო შეიცვალა. ეს ყველაფერი კი ხარვეზიანი კანონმდებლობის პირობებში განხორციელდა. კონკურსის მექანიზმი, ფაქტობრივად, არა ახალი კადრების მისაღებად, არამედ შიდა გადაადგილებებისთვის იქნა გამოყენებული, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების/პალატების „სანდო“ მოსამართლეებით დასაკომპლექტებლად;*

- *უკონკურსოდ მოსამართლეთა გადაადგილება სასამართლოებში/პალატებში/კოლეგიებში განსაკუთრებით გახშირებული იყო 2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით. ეს პროცესი არჩევნებამდე 3 თვით ადრე დასრულდა, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ამ პერიოდში მოსამართლეთა გადაადგილება, შესაძლოა, სწორედ მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდებოდეს. ეს პროცესები 1 წლით ადრე, შესაძლოა, „კვალის დაფარვის“ მიზნით დაიწყო, რათა შემდგომში, მოსამართლეთა გადაადგილების დაკავშირება არჩევნების პერიოდთან, მაქსიმალურად აერიდებინათ;*

- *უკონკურსოდ მოსამართლეთა გადაადგილებები ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში შეინიშნებოდა 3 ყველაზე სტრატეგიულ და გადატვირთულ სასამართლოში, კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ გადაადგილებების რეალური მიზეზი, მაღალი ალბათობით, სწორედ არჩევნებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რამდენადაც, როგორც წესი, ყველაზე მეტი საარჩევნო დავა ძირითადად ამ სასამართლოებში შედის. შესაბამისად, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ სასამართლოებში ლოიალური მოსამართლეების გადაყვანა;*

- *იმ მოსამართლეთა უმრავლესობა, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში გადავიდნენ, სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირია. გარდა ამისა, თითქმის ყველა მათგანის სახელი უკავშირდება გახმაურებულ საქმეებს, რაც არჩევნების კონტექსტში განსაკუთრებით საგანგაშოა.*

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს 2019-2020 წლებში, წინასაარჩევნოდ, პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში, კოლეგიებსა და საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეების გადაადგილებაზე დაკვირვებასა და მათი მოძრაობის ტენდენციების გამოვლენას. ყურადღება გამახვილდება პირველი ინსტანციის სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა მორიგეობის სიის შედგენისა და მისი შემადგენლობის საკითხზეც. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთ სასამართლოში არ არის განსაზღვრული სპეციალიზაციები, ასეთ სასამართლოებში მოსამართლეთა გადაადგილებას მოცემული კვლევა არ მოიცავს.

უფრო კონკრეტულად, კვლევა შეეხება:

- *რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში/საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა გადაადგილებას:*
  - *საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე, კონკურსის წესით;*
  - *საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე, კონკურსის გარეშე;*
  - *საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე;*
- *რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა მორიგეობის სიების დაკომპლექტებას;*

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ მოძიებული ინფორმაცია (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში, მოსამართლეთა დანიშვნასა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში/საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციებში, მათ გადაადგილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „იუსტიციის საბჭო“) გადაწყვეტილებები/განკარგულებები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ და თბილისის, რუსთავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეთა ბრძანებები ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მორიგეობის დადგენის შესახებ).

დასამუშავებელი ინფორმაცია

კვლევა ფოკუსირებულია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ადმინისტრაციულ საქმეთა, უფრო კონკრეტულად კი, საარჩევნო დავების, განმხილველი მოსამართლეების გადაადგილების, ასევე, მათი მორიგეობის სიების შესწავლაზე. შესაბამისად, ამ კუთხით დამუშავდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- *საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ნორმები კონკურსის წესით, კონკურსის გარეშე, ასევე, სპეციალიზაციის ცვლილების საფუძველზე მოსამართლეთა გადაადგილების შესახებ;*
- *იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებები თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ;*
- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება „თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში დადგენილი ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“;*
- *თბილისის, რუსთავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეთა ბრძანებები ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მორიგეობის დადგენის შესახებ;*
- *იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებები/განკარგულებები მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებასა და მის შედეგებთან დაკავშირებით;*
- *იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებები/განკარგულებები კონკურსის გარეშე მოსამართლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებით;*
- *იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებები/განკარგულებები მოსამართლეთა სპეციალიზაციებს შორის გადაადგილებასთან დაკავშირებით.*

საარჩევნო დავებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

საკანონმდებლო ცვლილებები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში არაერთი კუთხით არის გამორჩეული. საარჩევნო სისტემის უფრო მეტად პროპორციულ მოდელზე გადასვლასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობაც.[7] გენდერულ კვოტირებასთან, მედიარეგულაციებთან, პარტიების დაფინანსებასა და სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ცვლილებები შეეხო საარჩევნო დავებსაც. კერძოდ, შემცირდა საარჩევნო კომისიებსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის ვადები, ასევე, 30-დან 10 დღეზე ჩამოვიდა საარჩევნო კომისიებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული დავების განხილვის ვადები.[8]

თუმცა, განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის, საარჩევნო დავების ნაწილში, კვლავაც არ არის საკმარისი სრულიად გამჭვირვალე და თავისუფალი არჩევნების მისაღებად. საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაუმჯობესება ერთ-ერთი იყო იმ რეკომენდაციებს შორის, რომლებიც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს პარლამენტს გაუზიარა:

> *„სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა, რათა საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და საჩივრების მიღებაზე არსებული შეზღუდვების გაუქმება მოხდეს. ყველას, ვისი საარჩევნო უფლებების დარღვევა მოხდა, უნდა გააჩნდეს საჩივრის შეტანის უფლება“.*[9]

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად რეკომენდაციები წარადგინეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.[10] კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ შემთხვევაშიც საარჩევნო დავებს შეეხებოდა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, საჭირო იყო საარჩევნო დავებში სუბიექტთა წრის გაფართოება, სარჩელისა და საჩივრების ფორმების დახვეწა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის გაუმჯობესება, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების საკითხი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის

---

7 იხილეთ საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 2020 წლის 2 ივლისს შესული ცვლილებები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=0.

8 იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ - „რა შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობაში“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/ra-sheicvala-saarchevno-kanonmdeblobashi.

9 იხილეთ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, გვ. 39. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf.

10 იხილეთ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადებული ერთობლივი რეკომენდაციები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/sites/default/files/rekomendaciebi-saarchevno-garemos-gaumjobesebistvis_1.pdf.
ამავე საკითხებს შეეხებოდა 2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის, „საარჩევნო პრაქტიკის რეფორმა საქართველოში“, ფარგლებში მომზადებული კვლევა, რომელიც აერთიანებდა 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/edr-research-geo/1680981a03.

შედგენაზე საარჩევნო ადმინისტრაციის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა და სხვ.[11]

კანონმდებლობაში ცვლილებების შესვლის შემდეგაც, ევროკავშირის ელჩი, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ყურადღებას ამახვილებდა განხორციელებული რეფორმის არასაკმარისობაზე და გადაუჭრელად დატოვებულ გამოწვევებზე, მათ შორის, საარჩევნო დავების კუთხით:

> *„სასურველი იქნებოდა უფრო ამბიციური რეფორმების განხორციელება ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) მიერ რეკომენდებულ საკვანძო სფეროებში, როგორებიცაა ამომრჩეველზე ზეწოლა, დავების განხილვა და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება“.*[12]
> *„თუმცა, კანონში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ისევ რჩება. ჩვენი აზრით, დამატებითი ზომების შემოღება ამომრჩევლის შესაძლო დაშინების წინააღმდეგ, საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დავის გადაჭრის პროცესის განმტკიცება და COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ალტერნატიული კამპანიის მეთოდების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას საარჩევნო პროცესებისადმი ამ შემოდგომაზე“.*[13]

საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა ეროვნულ სისტემაში საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჩივრების ეფექტიანი განხილვის შესაძლებლობა.[14] საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული დავები, არჩევნების შედეგებზე თავიანთი გავლენით, მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხარისხსა და კანონის უზენაესობის პრინციპის აღსრულებას. საარჩევნო პროცესების, როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელი პირდაპირი ინდიკატორის, შეფასებისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალი სასამართლო სისტემის არსებობა. თუმცა, სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი არჩევნები, რომელსაც თან არ ახლდა გახმაურებული სასამართლო დავები, რომლებშიც მოსამართლეებმა მიკერძოებული გადაწყვეტილებები მიიღეს.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გამხდარიყო მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში „საერთო

---

11 იხილეთ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადებული ერთობლივი რეკომენდაციები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
https://www.transparency.ge/sites/default/files/rekomendaciebi-saarchevno-garemos-gaumjobesebistvis_1.pdf.
ამავე საკითხებს შეეხებოდა 2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის, „საარჩევნო პრაქტიკის რეფორმა საქართველოში“, ფარგლებში მომზადებული კვლევა, რომელიც აერთიანებდა 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
https://rm.coe.int/edr-research-geo/1680981a03.

12 იხილეთ ევროკავშირის ელჩის საქართველოში, კარლ ჰარცელის განცხადება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
https://www.radiotavisupleba.ge/a/30703839.html?fbclid=IwAR1FBqDn5hMjhZMhUdwkKGTcWfmMnv2jZn5BtzGiKkeW-wPIp-R2cyYC-kM.

13 იხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური განცხადება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
https://www.facebook.com/usingeo/posts/10158420716667954.

14 იხილეთ სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან მიმართებით, პარ. 100. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/tavisufali-archevnebis-ufleba-saxelmzgvanelo-principebi-adamianis-uflebata-evropuli-konvenciis-1-li-damatebiti-oqmis-me-3-muxltan-mimartebit.pdf.

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც, 2017 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი ამოქმედდა. თუმცა, პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კანონმდებლობასთან ერთად, პრობლემურია თავად განაწილების სისტემის ტექნიკური მხარე, შეიცავს ხარვეზებს და ტოვებს გარე ჩარევების შესაძლებლობას.[15]

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დაწესდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია[16] ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები,[17] ხოლო სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განი-საზღვროს მხოლოდ მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.[18] 2018 წლის 30 აპრილამდე, ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში იყო[19], ხოლო 30 აპრილიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ისინი თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც შეიქმნა.[20] ამ გადაწყვეტილებების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 5 ვიწრო სპეციალიზაცია განისაზღვრა, რომელთაგან ოთხში საარჩევნო დავებიც შედიოდა,[21] ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში - 3 კატეგორია, რომელთაგან ორი საარჩევნო დავებს მოიცავდა.[22] თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №9 და №10 დადგენილებების მიხედვით, საარჩევნო დავები ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის/ პალატის მხოლოდ პირველი კატეგორიის სპეციალიზაციის მოსამართლეების განსახილველი გახდა.[23] შესაბამისად, დავიწროვდა საარჩევნო დავების განმხილველ მოსამართლეთა წრე, რამაც ხელი შეუწყო მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს და საარჩევნო დავების კატეგორიის ლოიალური მოსამართლეებით დაკომპლექტება უფრო გაუმარტივა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, კანონით დადგენილი არ არის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება - განსაზღვროს ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობა. მიუხედავად ამისა, დამკვიდრებული პრაქტიკით, თბილისის

15 იხილეთ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ მომზადებული კვლევა - „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf.

16 ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოლეგიებში იქმნება თემატური ვიწრო სპეციალიზაციები, რომლებიც მხოლოდ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში მოქმედებს.

17 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

18 საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 21 პუნქტი.

19 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/1-92.pdf.

20 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/175-2018.pdf.

21 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/1-92.pdf.

22 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/175...pdf.

23 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №9 დადგენილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4962289?publication=0; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №10 დადგენილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4962300?publication=0.

საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მას ერთპიროვნულად, საკუთარი ბრძანებით განსაზღვრავს.[24] ის, თუ რა სიხშირით და რა პროცედურით არის დასაშვები/შესაძლებელი ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით მოსამართლეთა შემადგენლობის ცვლილება, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. ყოველივე ეს კი იმას გულისხმობს, რომ, მართალია, საქმეებს კონკრეტული სპეციალიზაციისა და ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული პროგრამა შემთხვევითი პრინციპით ანაწილებს, მაგრამ რომელი მოსამართლე იქნება მის შემადგენლობაში და რამდენად ხშირად შეიცვლება ეს შემადგენლობა, მთლიანად არის დამოკიდებული სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციები ნებისმიერ დროს, მათ შორის, არჩევნების წინა დღესაც, დაკომპლექტდეს ერთპიროვნულად ისეთი მოსამართლეებით, რომლებიც, სახელმწიფოს მხრიდან არაჯანსაღი ინტერესის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. ამასთან, ამ რისკებს ზრდის პროცედურის გაუმჭვირვალობაც, რადგან მოთხოვნის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული ბრძანებების გადმოცემაზე, რაც შესაძლებელს გახდიდა მოსამართლეთა მონაცვლეობის დინამიკაზე დაკვირვებას.[25] რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, (13 ოქტომბრის მდგომარეობით) საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციაში 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან იყვნენ დიმიტრი გვრიტიშვილი, თეა ძიმისტრაშვილი, მანანა ჩოხელი, გიორგი ტყავაძე, ხატია არდაზიშვილი, დავით ახალბედაშვილი, ლეილა მამულაშვილი, ნანა ჭიჭილეიშვილი, გია ბერაია და გოჩა აბუსერიძე.[26] როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ამ მოსამართლეთა უმრავლესობა სწორედ საკვლევ პერიოდში გამწესდა აღნიშნულ სასამართლოში, რაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ მათი მიგრაცია სწორედ არჩევნების პროცესს უკავშირდებოდა და სწორედ რომ „სანდო“ მოსამართლეებით საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციის დაკომპლექტებას ისახავდა მიზნად.

ადმინისტრაციული საქმეების მორიგეობის წესით განხილვა

საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი სასამართლოს თავმჯდომარეებს, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, არასამუშაო და სამუშაო საათებში, მოსამართლეთა მორიგეობის დადგენის უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, იმ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება.[27] ისინი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით ნაწილდება, და ამ დროს მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება.[28] ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მორიგეობის სიის შედგენის პროცედურულ საკითხებს, ვადებს, მასში ცვლილებების განხორციელების წესსა და მოსამართლეთა თანხმობის საკითხს დღემდე არ ითვალისწინებს არცერთი ნორმატიული აქტი. შესაბამისად, სასამართლოს

24 იხილეთ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ მომზადებული კვლევა - „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf.

25 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 1 სექტემბრის უარი (წერილი №3887378) საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ 2020 წლის 27 აგვისტოს №g-345/20 წერილით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე.

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის საპასუხო წერილი №3/6587.

27 საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56-.pdf.

28 იქვე.

თავმჯდომარეს შეუძლია, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით დააკომპლექტოს მორიგეობის სია სასურველი მოსამართლეებით.[29]

თბილისის, ქუთაისის, გორი, რუსთავისა და ბათუმის რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამ სასამართლოებში მორიგეობის სიები ყოველთვიურად დგება (თვის დასაწყისში ან ბოლოს), ცალ-ცალკე ყოველი ახალი თვისთვის, სამუშაო და არასამუშაო დღეებში[30]/საათებში[31], ანბანური რიგითობითა[32] და მოსამართლეთა ურთიერთშეთანხმებით[33], მათი სამუშაო გრაფიკის[34], საპროცესო დღეების[35], შვებულებისა თუ მივლინების გათვალისწინებით.[36] როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილიდან ირკვევა, მივლინების ან/და სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში, მორიგეობის გრაფიკში შედის ცვლილება.[37] რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიხედვით კი, ცვლილებები იმავე წესით შედის მორიგეობის გრაფიკში, როგორც ეს სიები დგება.[38] სხვა სასამართლოებს ცვლილებების შეტანის საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია (შედის თუ არა, რა შემთხვევაში შედის და რა სიხშირით) არ მოუწოდებიათ.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მორიგე მოსამართლეთა რაოდენობას, სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში ყოველდღე 1 მოსამართლე მორიგეობს, რაც შემთხვევითი განაწილების პრინციპის მოქმედებით მასზე საქმეების განაწილებას გამორიცხავს.

მორიგეობის დადგენის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი, ასევე, ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მორიგეობის სია 1, 2 ან 3 მოსამართლისაგან შედგება, რაც გამორიცხავს/აზრს უკარგავს შემთხვევითი პრინციპის მოქმედებას, განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია არჩევნების კონტექსტში. რადგან სასამართლოს თავმჯდომარეებს არჩევნებამდე გარკვეული დროით ადრე შეუძლიათ იმის განსაზღვრა და გადაწყვეტა, თუ რომელი მოსამართლეები იქნებიან არჩევნების პერიოდში მორიგეობის სიებში. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მათ ეს სიები იმ მოსამართლეებით დააკომპლექტონ, რომელთაც კავშირი აქვთ სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან, ან არიან მოწყვლადი მათი გავლენების მიმართ. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ არსებობს საარჩევნო დავების ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტის საკმაოდ მაღალი ალბათობა.

29 იხილეთ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ მომზადებული კვლევა - „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf.

30 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის საპასუხო წერილი №1019/გ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის საპასუხო წერილი №11289-2; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის საპასუხო წერილი №გ/ფ -2831.

31 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ოქტომბრის საპასუხო წერილი №3-06105/4018621; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ოქტომბრის საპასუხო წერილი №665გ/კ.

32 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ოქტომბრის საპასუხო წერილი №3-06105/4018621.

33 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის საპასუხო წერილი №1019/გ.

34 იქვე.

35 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ოქტომბრის საპასუხო წერილი №665გ/კ.

36 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ოქტომბრის საპასუხო წერილი №665გ/კ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის საპასუხო წერილი №11289-2.

37 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ოქტომბრის საპასუხო წერილი №665გ/კ.

38 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის საპასუხო წერილი №1019/გ.

მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში კონკურსის წესით

როგორც წარსული პრაქტიკა აჩვენებს, მოსამართლეთა სასამართლოებში, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებსა თუ კოლეგიებში გადაადგილების ერთ-ერთ შესაძლებლობად მოსამართლეები მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობას მიიჩნევენ. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას, კონკურსს იუსტიციის საბჭო აცხადებს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. თუმცა, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ რა სიხშირით უნდა გამოცხადდეს იგი და რა ვადაში უნდა დასრულდეს, რაც პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს და, საბოლოო ჯამში, მართლმსაჯულების დროულად და სათანადო ხარისხით განხორციელების ინტერესს აზიანებს.

საერთო სასამართლოებში რომ მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობაა და ამ რიცხვის რაც შეიძლება სწრაფად გაზრდის აუცილებლობა დგას, არახალია. 2018 წელს ჩატარებული კვლევის, „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, თანახმად, სისტემა დაახლოებით 100 მოსამართლის დამატებას საჭიროებს[39] იმისათვის, რათა სასამართლომ ნორმალურად და ეფექტიანად იმუშაოს და სათანადოდ უპასუხოს სასამართლოს მომსახურებებზე არსებულ მოთხოვნას.

მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთ კვლევაში, ანგარიშსა თუ განცხადებაში იყო გამახვილებული ყურადღება. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ამით გამოწვეულ საფრთხეებზე - სასამართლოს გადატვირთულობის (რაც მოსამართლეებზე ზემოქმედებისათვის შესაძლოა ყოფილიყო გამოყენებული), საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და ვადების დარღვევის პრობლემებზე და იუსტიციის საბჭოს მკაცრად აკრიტიკებდნენ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის არასათანადო სიხშირით გამოცხადებისა, თუ გამოცხადების შემდეგ კონკურსის პროცედურების გაჭიანურების გამო.

საყურადღებოა, რომ დღესდღეობით პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში 99 ვაკანტური ადგილია.[40] მიუხედავად არსებული მდგომარეობისა და მოსამართლეების ნაკლებობისა, იუსტიციის საბჭოს 2019 წელს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი არ გამოუცხადებია. 2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივნისამდე, იგი აქტიურად იყენებდა მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის უკონკურსოდ დანიშვნის მექანიზმს, რაზეც ვრცლად მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

იუსტიციის საბჭომ, 2018 წლის 30 ივლისის[41] შემდეგ, მოსამართლეობის კანდიდატთა მომდევნო კონკურსი 2020 წლის 26 ივნისს, თითქმის 2 წლის შემდეგ გამოაცხადა.[42] 2018 წლის ივლისში გამოცხადებული კონკურსი 2019 წლის 24 მაისს, დაახლოებით 10 თვის შემდეგ, დასრულდა.[43] 43 ვაკანსიაზე

39 იხილეთ 2018 წლის კვლევა „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, გვ. 4. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/4319Assessmentoftheneedforjudgesin Georgia-GEO.pdf.

40 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/gasaubreba/3711.

41 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის 1/238 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/238.pdf.

42 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/89 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/89.pdf.

43 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatebis-shesarchevi-konkursi-dasrulda/3439.

გამოცხადებულ კონკურსში 69 კანდიდატი მონაწილეობდა.[44] კონკურსის შედეგად მოსამართლის თანამდებობაზე 32 კანდიდატი გამწესდა, რომელთაგან 27 მოქმედი მოსამართლე, ორი ყოფილი, სამი კი იუსტიციის სკოლის მსმენელი იყო.[45] 11 თანამდებობა კვლავ ვაკანტური დარჩა.[46] ამ პირთა უმრავლესობა თანამდებობაზე უვადოდ გადაინიშნა იმავე სასამართლოს იმავე კოლეგიაში, ნაწილი ზემდგომ სასამართლოში დაწინაურდა, ნაწილი კი სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გადავიდა.

უფრო კონკრეტულად:

- *ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში დაწინაურდნენ ან მოგვიანებით გადავიდნენ:*
  - *<u>ხატია არდაზიშვილი</u> (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან გადავიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში);*[47]
  - *<u>ნინო ყანჩაველი</u> (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან გადავიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში);*[48]
  - *<u>დავით ახალბედაშვილი</u> (მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან, დუშეთის მუნიციპალიტეტში, გადავიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, მოგვიანებით კი ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში).*[49]

44 იქვე.

45 იქვე.

46 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatebis-shesarchevi-konkursi-dasrulda/3439.

47 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 31 მაისის №1/99 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/99.pdf; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/55 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/55.pdf.

48 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 31 მაისის №1/98 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/98.pdf; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/56 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/56.pdf.

49 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 31 მაისის №1/93 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/93.pdf; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/57 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/57.pdf; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/157 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/157.pdf.

› *ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დაინიშნა:*

› *ეკატერინე პართენიშვილი (დაინიშნა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოგვიანებით კი ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადავიდა);*[50]

2018 წლის კონკურსის შედეგები ნათლად მიუთითებს სასამართლო სისტემის ჩაკეტილობის პრობლემაზე, რაც, ასევე, მრავალი წელია, კრიტიკის საგანია. ზემოთ მოცემული სტატისტიკა მოწმობს, რომ ახალი კადრების სასამართლოში შედინება ფაქტობრივად არ ხდება, რითაც არამხოლოდ ისპობა ახალი იდეების, მოსაზრებებისა და მიდგომების დანერგვით სამართლისა და სასამართლოს განვითარების შესაძლებლობა, არამედ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასამართლო სისტემაში მოხვედრის განმსაზღვრელი კრიტერიუმი რეალურად არა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობაა, არამედ მისი ლოიალურობა სასამართლოში არსებული გავლენიანი მოსამართლეთა ჯგუფის მიმართ.

რაც შეეხება 2020 წლის ივნისში დაწყებულ კონკურსს, იგი 99 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა.[51] მის ფარგლებში 68 კანდიდატთან გასაუბრების პროცესი მხოლოდ 2020 წლის 9 ოქტომბერს, 3 თვეზე მეტი ხნის შემდეგ დაიწყო და კვლავ მიმდინარეობს.[52] უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან 23 მოქმედი მოსამართლეა, 18 - ყოფილი, 27 კი - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირია.[53] კონკურსანტთა ასეთი დაბალი რაოდენობა, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ იურიდიულ საზოგადოებას არ აქვს ნდობა იუსტიციის საბჭოში გამართული პროცესების მიმართ, რაც გარკვეულწილად წინა კონკურსის შედეგებითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

ამ ნაწილში საყურადღებოა, ასევე, თანამდებობაზე 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების საკითხიც, რადგან ისინი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან გარეშე ზეგავლენების მიმართ. დღესდღეობით, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს შორის 8 ასეთი მოსამართლეა, რომელთაგან 6 თბილისის საქალაქო სასამართლოშია.[54] იმ სასამართლოების მოსამართლეთაგან, რომლებშიც სპეციალიზაციები არ არის განსაზღვრული - 6 გამოსაცდელი

50 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/80 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/80.pdf; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/111 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/111.pdf.

51 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/89 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/89.pdf.

52 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/gasaubreba/3711.

53 იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-biografiebi/3689.

54 თბილისის საქალაქო სასამართლოში: ნათია ბუსკაძე, ნინო თარაშვილი, ნათია მერაბიშვილი, ლელა მილდენბერგერი, ნათია ტოგონიძე, ეკატერინე ჯინჭველაშვილი; მცხეთის რაიონულ სასამართლოში: ბიძინა სტურუა; რუსთავის საქალაქო სასამართლოში: ნატა თედეშვილი.

ვადითაა.[55] ამავე ვადითაა დანიშნული 4 მაგისტრატი მოსამართლეც.[56] იქედან გამომდინარე, რომ ეს მოსამართლეები ჯერ არ არიან უვადოდ დანიშნულები თანამდებობაზე, არსებობს მომეტებული შანსი, რომ ისინი სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ზეგავლენების ქვეშ მოექცნენ და მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საარჩევნო დავები მიკერძოებულად განიხილონ.

მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში კონკურსის გარეშე

2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით, მოსამართლეთა სასამართლოებში/ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში გადასაადგილებლად იუსტიციის საბჭო განსაკუთრებით აქტიურად იყენებდა ამა თუ იმ სასამართლოში მოსამართლეთა უკონკურსოდ გამწესების მექანიზმს. ორგანული კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე მისივე თანხმობით კონკურსის გარეშე დაინიშნოს რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ [...].

როგორც უკვე აღინიშნა, პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ამჟამად 99 ვაკანტური ადგილია. 2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით, იუსტიციის საბჭომ სასამართლოებში არსებული ვაკანტური თანამდებობების შესავსებად 37-ე მუხლით გათვალისწინებული მექანიზმი 12-ჯერ გამოიყენა. კერძოდ, ამ მუხლისა და იუსტიციის საბჭოს რეგლამენტის 13[1] მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, 2019 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით, იუსტიციის საბჭომ ჯამში 7-ჯერ გამოაცხადა განცხადებების მიღება.[57] ხოლო 2020 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით - 5-ჯერ.[58] მსგავსი გააქტიურება და პროცესების არჩევნებამდე 3 თვით ადრე დასრულება ამძაფრებს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ სასამართლო სისტემაში „მოსამართლეთა დიდი გადაადგილების“ პროცესი სწორედ მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება.

საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში/კოლეგიაში, 2019 წლის იანვრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით, უკონკურსოდ 20 მოსამართლე დაინიშნა, რომელთა უმრავლესობა სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს წარმოადგენს, ან მასთან დაკავშირებული პირია. ამასთან, მათ შორის არიან მოსამართლეებიც, რომელთა სახელები არაერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება. აღნიშნული საქმეების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში №1. მოსამართლეების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

55 გურჯაანის რაიონული სასამართლო - ნანა ჩალათაშვილი; ზუგდიდის რაიონული სასამართლო - ფატი ფურცხვანიძე; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო - ვლადიმერ ხუჭუა; ოზურგეთის რაიონული სასამართლო - მარინა კიკნაძე; სამტრედიის რაიონული სასამართლო - დავით სვანაძე; ხაშურის რაიონული სასამართლო - ზაზა რამიშვილი.

56 გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში - იოსებ აბრამიძე; მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში - სოფიო ლეჟავა; სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მარტვილის მუნიციპალიტეტში - დარეჯან კვარაცხელია; სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - გიორგი ბუხრაშვილი.

57 იხილეთ 2019 წლის 31 მაისის, 25 ივნისის, 9 ივლისის, 4 სექტემბრის, 22 ნოემბრის, 10 დეკემბრისა და 26 დეკემბრის სხდომების დღის წესრიგები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/.

58 იხილეთ 2020 წლის 9 იანვრის, 24 იანვრის, 17 მარტის, 5 ივნისისა და 23 ივლისის სხდომების დღის წესრიგები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/.

- *<u>დიმიტრი გვრიტიშვილი</u> - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატიდან გადმოვიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ[59], ხოლო მოგვიანებით, იუსტიციის საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ამავე პალატის თავმჯდომარედ.[60] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიმიტრი გვრიტიშვილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განმხილველი მოსამართლე იყო, ვიდრე სპეციალიზაცის შეიცვლიდა[61], სასამართლოს შეცვლამდე დაახლოებით 2 თვით ადრე.*

- *<u>გოჩა აბუსერიძე</u> - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატიდან გადმოვიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.[62]*

- *<u>ნათია მერაბიშვილი</u> - ახალციხის რაიონული სასამართლოდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. იგი 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეა.[63]*

- *<u>მანუჩარ ცაცუა</u> - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან გადმოვიდა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[64] თუმცა, მოგვიანებით იმავე პროცედურის საფუძველზე, მან კვლავ შეიცვალა სასამართლო და ამჯერად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადავიდა.[65]*

- *<u>ლელა ჭინჭარაული</u> - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[66]*

- *<u>ვალერიანე ფილიშვილი</u> - გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[67]*

- *<u>ნინო თარაშვილი</u> - ბოლნისის რაიონული სასამართლოდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო*

---

59 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის N1/111 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/111-2020.pdf.

60 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის N1/122 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/122-2020.pdf.

61 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის N1/62 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/62-2020.pdf.

62 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის N1/28 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/28-2020.pdf.

63 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის N1/110 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/110.pdf.

64 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის N1/112 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/112.pdf.

65 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №1/352 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/352-2019.pdf.

66 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/113 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/113.pdf.

67 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/147 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/147.pdf.

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[68] იგი 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეა.[69]

- *ალექსანდრე გოგუაძე - აბაშის მუნიციპალიტეტის სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან გადავიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[70]*

- *სოფიო გაგნიძე - წალკის მუნიციპალიტეტის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[71]*

- *ბადრი შონია - ახალგორის მუნიციპალიტეტის მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[72]*

- *ლელა მილდენბერგერი - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან გადმოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[73]*

- *ნინო შარაძე - გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.[74]*

- *შოთა სირაძე - ხობის მუნიციპალიტეტის ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოდან დაწინაურდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.[75]*

- *ვლადიმერ კაკაბაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[76] საქართველოს პარლამენტმა მოგვიანებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.*

---

68 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის №1/194 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/194.pdf.

69 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №1/32 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/32-2018.pdf.

70 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის №1/197 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/197.pdf.

71 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №1/330 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/330-2019.pdf.

72 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №1/356 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/330-2019.pdf.

73 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №1/285 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/285.pdf.

74 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის №1/79 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/79-2020.pdf.

75 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 24 იანვრის №1/10 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/1-10.pdf.

76 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/141 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/141.pdf.

- *ლეილა მამულაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.*[77]

- *ლევან მიქაბერიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.*[78] *საქართველოს პარლამენტმა მოგვიანებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.*

- *ნანა ჭიჭილეიშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.*[79]

- *ლაშა თავართქილაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.*[80]

- *ინგა კვაჭანტირაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.*[81]

- *გია ბერაია - ახალციხის რაიონული სასამართლოდან დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.*[82]

საყურადღებოა, რომ მოსამართლეთა მიგრაცია უმეტესად პერიფერიებიდან (რეგიონებიდან) დედაქალაქისაკენ, თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში ხდებოდა, ხოლო მოსამართლეთა დაწინაურება თბილისის საქალაქო სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ეს შეიძლება იმით ყოფილიყო განპირობებული, რომ ყველაზე მეტი ამომრჩეველი სწორედ დედაქალაქში ცხოვრობს. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, ამ სასამართლოებში უფრო მეტი იქნებოდა საარჩევნო დავების რაოდენობა, რომლებშიც ხელისუფლების ინტერესი შეიძლება ყოფილიყო გამოხატული და „მნიშვნელოვანი“ წონა ჰქონოდა არჩევნების შედეგებთან მიმართებით. მაშასადამე, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისათვის გადამწყვეტი იყო სწორედ ამ ორი სტრატეგიული სასამართლოს „სანდო“ მოსამართლეებით დაკომპლექტება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის საბჭოს რეგლამენტის 13[1] მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, იმავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება კონკრეტული სასამართლოს საჭიროება, მოსამართლის საცხოვრებელი ადგილი, მისი ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

77 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/142 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/142.pdf.

78 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/143 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/143.pdf.

79 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის №1/189 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/189.pdf.

80 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის №1/188 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/188.pdf.

81 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №1/278 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/278.pdf.

82 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №1/279 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/279-2019-1.pdf.

გავლენა და სხვ.[83] კონკურსის გარეშე მოსამართლეებთან გასაუბრების პროცესებზე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ განმცხადებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სასამართლოს შეცვლის მიზეზად ჯანმრთელობის პრობლემები და ოჯახთან სიახლოვის საჭიროება, ან, კარიერული განვითარება დაასახელა. იმის გათვალისწინებით, რომ გასაუბრებები საშუალოდ 2-3 წუთი გრძელდებოდა და ყველა მოსამართლე იდენტურ მიზეზებს ასახელებდა, ამასთან, არც ორგანული კანონით და არც იუსტიციის საბჭოს რეგლამენტით არ არის დარეგულირებული მსგავს სიტუაციაში იუსტიციის საბჭოს მოქმედების წესი, გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე ანიჭებდა იგი ერთსა და იმავე სასამართლოში/პალატაში/კოლეგიაში გადასვლის მსურველ მოსამართლეებს შორის ერთ-ერთს უპირატესობას იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ ვაკანსიაზე ერთზე მეტი განცხადება იყო შემოსული. შესაბამისად, ამ მხრივ იუსტიციის საბჭოს მოქმედების საკმაოდ დიდი თავისუფლება ჰქონდა, რაც არ გამორიცხავს, რომ მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაადგილების მექანიზმი, მათ შორის, სასამართლოების „სანდო“ მოსამართლეებით დაკომპლექტებისათვისაც იქნა გამოყენებული.

ამ კონტექსტში საყურადღებოა, ასევე, მოსამართლეთა დაწინაურების საკითხიც, რადგან ამ მიზნით იუსტიციის საბჭო უმეტესად სწორედ 37-ე მუხლს იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ დაწინაურებას ორგანული კანონის 41-ე მუხლი შეეხება. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმები ორგანული კანონით არაა განსაზღვრული, რის აუცილებლობაზეც თავის დასკვნაში ვენეციის კომისიაც მიუთითებდა.[84] კანონი მათი შეიმუშავების უფლებამოსილებას იუსტიციის საბჭოს ანიჭებს.[85] მან აღნიშნული კრიტერიუმები 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა.[86] თუმცა, მიუხედავად მათი არსებობისა, დაწინაურების პროცესი მაინც ხარვეზიანია, რადგან არ არსებობს მოსამართლეთა შეფასების გამართული სისტემა და საბჭოს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია. დღემდე არ არის შემუშავებული ცხად, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა, მათ შორის, არც შეფასების წესი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში მოსამართლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებით ზრდის თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკებს, და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებისა და კოლეგიების „სასურველი“ მოსამართლეებით დაკომპლექტების შესაძლებლობას იძლევა.

83 საქართველოს იუსტიციის საბჭოს რეგლამენტის მე-131 მუხლის მე-5 პუნქტი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/208-2007%20%282007%29.pdf.

84 ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 ოქტომბრის დასკვნა CLD –AD 2014, პუნქტი 53. ელექტრონულად რხელმისაწვდომია: http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo.

85 საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

86 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 19 ოქტომბრის 1/166 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202015/166-2015.pdf.

მოსამართლეთა გადაადგილება სააპელაციო სასამართლოებისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში

ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამოძიებო კოლეგიაში, ასევე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობასა და მათ შემადგენლობას იუსტიციის საბჭო განსაზღვრავს. აღნიშნული ჩანაწერი იძლევა შესაძლებლობას, რომ პირმა ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გარეშე, მხოლოდ სურვილის გამოხატვის საფუძველზე, შეიცვალოს სპეციალიზაცია.

2019-2020 წლებში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არაერთხელ გამოიყენა აღნიშნული უფლება-მოსილება მოსამართლეთა მხრიდან მიმართვის საფუძველზე. თუმცა, სპეციალიზაციის შეცვლის შესახებ იუსტიციის საბჭოს არცერთ გადაწყვეტილებაში/განკარგულებაში არ ყოფილა მითითებული რაიმე დასაბუთება ამგვარი გადაადგილების ასახსნელად.

2019 წელს აღნიშნული მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატიდან/კოლეგიიდან სხვა პალატებში/კოლეგიებში გადავიდნენ:

- *<u>მერაბ ლომიძე</u> (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა);*[87]
- *<u>ირაკლი შენგელია</u> (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა);*[88]
- *<u>ნიკოლოზ მარგველაშვილი</u> (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა);*[89]
- *<u>ლელა ჭინჭარაული</u> (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია);*[90]
- *<u>ნიკოლოზ მარსაგიშვილი</u> (ეს მოსამართლე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში 2019 წელს ორჯერ, ივნისში*[91]*, შემდეგ კი ნოემბერში გადავიდა*[92]*).*

სხვა პალატებიდან/კოლეგიებიდან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში/კოლეგიაში გამწესდა 6 მოსამართლე, კერძოდ:

---

87 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 31 მაისის №1/105 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/105.pdf.

88 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 17 მაისის №1/49 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/49-2019.pdf.

89 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/125 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/125.pdf.

90 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 დეკემბრის №1/317 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/317-219.pdf.

91 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/131 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/131.pdf.

92 საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის №1/304 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/304.pdf.

- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე <u>დავით ახალბედაშვილი;</u>*[93]
- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე <u>ნანა დარასელია;</u>*[94]
- *თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ და მოსამართლემ <u>ნიკოლოზ მარსაგიშვილმა,</u> რომელიც ამ კოლეგიაში სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიიდან გადმოვიდა, მხოლოდ 6 დღე დაჰყო იქ და შემდეგ ორგანული კანონის იმავე მუხლის საფუძველზე კვლავ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადავიდა;*[95]
- *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე <u>ნანა კალანდაძე;</u>*[96]
- *თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე <u>სერგო მეთოფიშვილი,</u> რომელიც ამ კოლეგიაში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან გადმოვიდა, დაახლოებით 2 თვე დაჰყო იქ და შემდეგ ორგანული კანონის იმავე მუხლის საფუძველზე კვლავ ძველ კოლეგიაში გადავიდა;*[97]

მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე <u>ბიძინა სტურუა.</u>[98]

რაც შეეხება 2020 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გადავიდა დიმიტრი გვრიტიშვილი.[99] თუმცა, ამ უკანასკნელიდან საგამოძიებო კოლეგიაში გადავიდა სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე.[100] როგორც ირკვევა, იმ მოსამართლეთა უმრავლესობა, რომლებიც სხვა პალატებიდან/კოლეგიებიდან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში/კოლეგიაში და, პირიქით, გადავიდნენ, სწორედ სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენელია. ამასთან, ისინი გახმაურებული საქმეების განმხილველი მოსამართლეებიც არიან (იხილეთ დანართი №1), რაც კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ორგანული კანონით გათვალისწინებული ეს მექანიზმიც არასათანადოდ, ბოროტად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული მოახლოებულ არჩევნებამდე სპეციალიზაციების „სანდო“ მოსამართლეებით დასაკომპლექტებლად.

---

93 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/157 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/157.pdf.

94 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის №1/166 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/166.pdf.

95 საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №1/292 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/292.pdf.

96 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 აპრილის №1/37 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/37-2019.pdf.

97 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის №1/305 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/305.pdf;
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/7 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია:
http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/1-7.pdf.

98 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრის №1/360 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/360.pdf.

99 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის №1/62 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/62-2020.pdf.

100 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 4 აგვისტოს №1/117 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/117.pdf.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ არასაკმარისი/ხარვეზიანი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, არსებობს რისკები და საფრთხეები, რომ ამგვარი კანონმდებლობა, შესაძლოა, ბოროტად გამოიყენონ უფლებამოსილმა პირებმა (იუსტიციის საბჭო, სასამართლოს თავმჯდომარეები) პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების, პალატების, ვიწრო სპეციალიზაციებისა თუ მოსამართლეთა მორიგეობის სიების დაკომპლექტებისას. ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოებებიც, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას აღნიშნული სასამართლო არ იძლევა, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება კი მოწმობს, რომ საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციაში ის მოსამართლეები არიან შეყვანილი, რომლებიც სწორედ საკვლევ პერიოდში გამწესდნენ ამ სასამართლოში.

2019-2020 წლების მონაცემებმა აჩვენეს, რომ იუსტიციის საბჭომ, ხარვეზიანი ნორმების საფუძველზე, მრავალი მოსამართლე გადაიყვანა იმავე ინსტანციის სხვა სასამართლოში, დააწინაურა სააპელაციო სასამართლოში თუ შეუცვალა სპეციალიზაცია. ასეთივე ხარვეზიანი ნორმების საფუძველზე დგინდება პირველი ინსტანციის სასამართლოებში მორიგეობის სიები, რაც სასამართლოს თავმჯდომარეებს ზედმეტად დიდ თავისუფლებას ანიჭებს, სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე დააკომპლექტონ ისინი და სასურველ დროს შეიტანონ მათში ცვლილებები.

საყურადღებოა, რომ იმ მოსამართლეთა უმრავლესობა, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში, პალატებსა თუ ვიწრო სპეციალიზაციებში გადავიდნენ, წარმოადგენს ან დაკავშირებულია სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან. ამასთან, მათი უმრავლესობის სამოსამართლო კარიერა მრავალ გახმაურებულ საქმეს ითვლის. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორის 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეებიც არიან, რომელთა დამოუკიდებლობის ხარისხი გარკვეული თვალსაზრისით ნაკლები შეიძლება იყოს უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებთან შედარებით. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის ეჭვებს იმის თაობაზე, რომ პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა გადაადგილებები სწორედ არჩევნებთან დაკავშირებით განხორციელდა პალატების/კოლეგიების/ვიწრო სპეციალიზაციების ისეთი მოსამართლეებით დასაკომპლექტებლად, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით მიიღებენ მიკერძოებულ გადაწყვეტილებას.

მოახლოებულ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს გარდამტეხი ცვლილებების შეტანა შეუძლია, როგორც მრავალპარტიული პარლამენტის ფორმირების კუთხით, ისე, მთლიანად ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საარჩევნო დავების შემთხვევაში, ისინი მიუკერძოებელმა და დამოუკიდებელმა სასამართლომ განიხილოს. თუმცა, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში/ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა ამგვარი გადაადგილება სერიოზულ კითხვებს აჩენს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

დანართი N1

(დანართში მოცემულია იმ მოსამართლეების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც 2019-2020 წლებში გადავიდნენ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში[101])

თბილისის სააპელაციო სასამართალოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

დიმიტრი გვრიტიშვილი - სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ერთი-ერთი წარმომადგენელი. მას მრავალი წლის განმავლობაში ეკავა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თუ მისი პალატების თავმჯდომარის თანამდებობა, შესაბამისად, ამ პერიოდში შედარებით ნაკლები საქმე აქვს განხილული. თუმცა, მათ შორის მაინც მოიძებნება რამდენიმე გახმაურებული საქმე. კერძოდ:

- *2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი კომპანიის, შპს „მენეჯმენტ სერვისის“ 5 მილიონამდე ლარით დაჯარიმება პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, კანონიერად ცნო. ამ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების გამოტანას მან მხოლოდ 4 საათი მოანდომა;*[102]

- *არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, განიხილა ოპოზიციონერი აქტივისტის, დაჩი ცაგურიასა და მისი მეგობრის, ბექა ალადოშვილის საქმეები, რომლებიც „დაახლოებით 25-მა პოლიციელმა ძალის გამოყენებით გადმოათრიეს ავტომანქანიდან ელბაქიძის გამზირზე, სცემეს და შემდეგ ცოცხებთან ერთად გადაუღეს სურათები“.*[103] *თუმცა, მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატს არ მისცა პოლიციელისათვის შეკითხვების დასმის საშუალება, დაკავებულები სამართალდამრღვევად ცნო და 10-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა;*[104]

- *2011 წელს თბილისის საკრებულოს სასარგებლოდ გადაწყვიტა დიღმის ტყე-პარკის სტატუსის შეცვლის შესახებ სარჩელი;*[105]

- *2011 წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება. საქმე შეეხებოდა სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის (თანამდებობის პირების ხელფასების, ჩატარებული კულტურული და სარეკლამო ღონისძიებების, ტენდერების, სატელეფონო ხარჯების, სამინისტროს თანამშრომლების ვიზიტების დაფინანსებაზე) გაცემის დავალებასა და მისი გაუცემლობის გამო სამინისტროსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.*[106]

---

101 ზოგიერთი მათგანი, 2020 წლის 30 ოქტომბრის მონაცემებით, შესაძლოა, აღარ ახორციელებდეს უფლებამოსულებას ზემოთ მითითებულ სასამართლოს კოლეგია/პალატაში.

102 იხილეთ 2019 წლის 30 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ILoEVd.

103 იხილეთ 2019 წლის 29 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37jyCHv.

104 იქვე.

105 იხილეთ 2019 წლის 29 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37jyCHv.

106 იქვე.

ვლადიმერ კაკაბაძე[107] - სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი. ამ მოსამართლის სახელი უკავშირდება „ფილიპ მორისისა“ და „British American Tobacco-ს“ საქმეებს, რომელთაც მოსარჩელეები დემპინგურ ფასდებაში ადანაშაულებდნენ.[108] მოსამართლემ დააკმაყოფილა სარჩელები და მოპასუხეებს, შესაბამისად, 93 მილიონი ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება და 270-მილიონიანი ჯარიმა დააკისრა.[109] გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლის სახელს უკავშირდება ე.წ. „ფადი ასლის საქმეც“, რომელშიც თვითონ იყო მოსარჩელე და შელახული პატივისა და ღირსების აღდგენას ითხოვდა.[110] თუმცა, საბოლოო ჯამში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ფადი ასლისა და გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გამოიტანა.[111]

ლევან მიქაბერიძე[112] - ამ მოსამართლემ განიხილა და არ დააკმაყოფილა სს „თბილავიამშენის“ წილებისა და აქციების სახელმწიფოსათვის ჩუქების საქმეზე მოსარჩელეების სარჩელი, რომელშიც ეს უკანასკნელნი ამტკიცებდნენ, რომ ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქების რეალური მოტივი არ ჰქონიათ და აქციების დათმობას საფუძვლად ედო იძულება სახელმწიფოს მხრიდან.[113]

ლაშა თავართქილაძე - ამ მოსამართლეს არაერთი გახმაურებული საქმე აქვს განხილული. კერძოდ:

- *„თანასწორობის მოძრაობის“ წევრების დაჯარიმების საქმე;*[114]
- *ი/მ ანანია გაჩეჩილაძის მიმართ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის საკითხი (ე.წ „აიისას“ საქმე);*[115]
- *ზვიად კუპრავას პარლამენტთან დაკავებისა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მიცემის საქმე;*[116]
- *საქართველოს პარლამენტის წევრის, ნიკა მელიას დაჯარიმების საქმე.*[117]

ნანა დარასელია - ამ მოსამართლის სახელსაც არაერთი გახმაურებული საქმე უკავშირდება. კერძოდ:

- *2012 წელს, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსამართლე ნანა დარასელიამ ბიძინა ივანიშვილი ორჯერ დააჯარიმა, თავდაპირველად უკანონო შემოწირულობისა და შემდეგ*

107 ვლადიმერ კაკაბაძე 2019 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში იყო გამწესებული, ვიდრე საქართველოს პარლამენტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩევდა.

108 იხილეთ 2019 წლის 11 დეკემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j8W78A.

109 იქვე.

110 იხილეთ 2019 წლის 18 აპრილის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FIcr2i.

111 იქვე.

112 ლევან მიქაბერიძე 2019 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში იყო გამწესებული, ვიდრე საქართველოს პარლამენტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩევდა.

113 იხილეთ ლევან მიქაბერიძის პორტფოლიო, გვ. 2. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m7pABs.

114 იხილეთ 2017 წლის 26 აგვისტოს რეპორტაჟი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SMWmeD;

115 იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 მაისის №4/3070-18 დადგენილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33SFhq2.

116 იხილეთ 2018 წლის 11 ივნისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jSlYm9.

117 იხილეთ 2018 წლის 10 სექტემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33Qcpyx.

ანგარიშებიდან 5 მილიონი ლარის დახარჯვის მიზნობრიობის დაუდასტურებლობის გამო;[118]

- *2012 წლის თებერვალში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილს, რომელიც კიკვიძის ბაღში ხეების მოჭრას და ტერიტორიაზე პოლიციის შენობის აშენებას აპროტესტებდა, მან 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა;*[119]

- *ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ელიტა ბურჯის“ იურისტ იმედა ნიკურაძეს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო 8 აგვისტოს 20–დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა;*[120]

- *განიხილა და არ დააკმაყოფილა 2010 წელს გურამ შარაძის მკვლელობისთვის გასამართლებული პირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე სასჯელაღსრულების სამინისტროსგან მიღებული უარის შესახებ საჩივარი;*[121]

განიხილა ე.წ. „საყდრისის“ საქმეც, რომელიც კომპანია “RMG Gold”-ის მიერ „საყდრისი-ყაჩაღიანის“ არქეოლოგიური ობიექტის აღებას/დაშლას შეეხებოდა.[122]

ხატია არდაზიშვილი - ამ მოსამართლემ განიხილა დემირელის სკოლის მენეჯერის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის, საქმე, რომელიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უარს ასაჩივრებდა.[123] მას თურქეთში ექსტრადაცია ემუქრებოდა.

ნინო ყანჩაველი - მისი სახელი უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისს ე.წ. „გავრილოვის ღამეს“ დაკავებული პირების საქმეებს, რომლებიც მოსამართლემ სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.[124]

ნინო შარაძე - არ დააკმაყოფილა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რეკლამის განთავსების წესების დარღვევისთვის „რუსთავი 2“-ის 2500 ლარით დაჯარიმების თაობაზე ტელეკომპანიის საჩივარი.[125] ასევე, არ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციის დარბევაში მონაწილე სპეცრაზმელთა შესახებ (მათი სახელწოდების, უწყებრივი და რეგიონული დანაყოფის იდენტიფიკაციით) ინფორმაციის გაცემის დავალებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.[126]

გოჩა აბუსერიძე- მისი გვარი ფიგურირებდა 2017 წელს უცხოელი ინვესტორების დაჯარიმების ერთ-ერთ საქმეში, რაც საზოგადოების მხრიდან ბიზნესებზე მოქმედი მმართველი ძალისა და სასამართლო ხელისუფლების შეთანხმებულ ზეწოლად იყო აღქმული.[127]

118 იხილეთ 2012 წლის 13 აგვისტოს სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31smlwS.

119 იხილეთ 2012 წლის 16 აგვისტოს სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kh1TWW.

120 იქვე.

121 იქვე.

122 იხილეთ 2015 წლის 13 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jnJYwN.

123 იხილეთ 2017 წლის 21 ნოემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FKrQzj.

124 იხილეთ 2019 წლის 25 ივნისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37qgwns.

125 იხილეთ 2011 წლის 20 დეკემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SP21Rm.

126 იხილეთ 2012 წლის 28 თებერვლის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dHfd4x.

127 იხილეთ 2017 წლის 16 ივნისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jjEiU9.

ნათია მერაბიშვილი - მან მიმდინარე წლის აპრილში, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მოთხოვნით მიმდინარე აქცია-სეირნობაზე დაკავებული ორი პირი, 1000-1000 ლარით დააჯარიმა.[128] ამავე მოსამართლემ ფეისბუქის დახურულ ჯგუფში თავისი ლექტორის მისამართით გინების ტექსტის გამოქვეყნების გამო სტუდენტი წვრილმან ხულიგნობაში დამნაშავედ ცნო.[129]

ნანა ჭიჭილეიშვილი - ამ მოსამართლის სახელს უკავშირდება „ანას ბაღის“ მახლობლად მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დავა.[130] სახალხო დამცველის 2006 წლის საანგარიშო მოხსენებაში მოხვდა მისი განხილული საქმე, კერძოდ, ტელეკომპანია „202“-ის თანადამფუძნებლების, შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმე,[131] რომლის გამოც სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მიმართა.[132]

ინგა კვაჭანტირაძე - მოსამართლე განიხილავდა საყდრისის მაღაროს საქმეს, რომელზეც დაადგინა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა პროცედურული დარღვევებით მოხდა, კერძოდ, სამინისტროში არსებულ არქეოლოგიურ საბჭოს საკითხი არ განუხილავს და სპეციალისტების დისკრეციის ფარგლებში არ გამოუტანია გადაწყვეტილება.[133] მისივე განხილულია ვალერი გელაშვილისათვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების საქმეც, რომელშიც მიხეილ სააკაშვილს, ივანე მერაბიშვილს, ერეკლე კოდუას, შსს-ს, ფინანსთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრათ.[134]

დავით ახალბედაშვილი- ამ მოსამართლის სახელს უკავშირდება შემდეგი საქმეები:

- *2013 წელს ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საქმე, რომელთაც ბრალი ამომრჩევლის მოსყიდვაში, მითვისება/გაფლანგვასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედებოდათ.[135] მოსამართლემ მერაბიშვილს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ჭიაბერაშვილი 20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა;[136]*

- *გეგუთის მე-14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხეულის მძიმე დაზიანების შედეგად ციხეში გარდაცვლილი პატიმრის საქმე, რომელშიც ბრალდებულებს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა;[137]*

128 იხილეთ სტატიები ნათია მერაბიშვილის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jTunWy; https://bit.ly/36WbUoC.

129 იხილეთ 2019 წლის 18 ოქტომბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nF0JGW; აღნიშნული საქმე მოხვდა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ მომზადებულ ანგარიშშიც, გვ. 31. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HgUV67.

130 იხილეთ 2020 წლის 30 აპრილის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/379c4Jv.

131 იხილეთ სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 9. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SKsNug.

132 იხილეთ 2006 წლის 3 ნოემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dK8E19.

133 იხილეთ განცხადება სასამართლო დავასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jfIKDJ.

134 იხილეთ 2019 წლის 27 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IRoNXn.

135 იხილეთ 2013 წლის 22 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37mRJ3o.

136 იხილეთ 2013 წლის 22 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m5reUe.

137 იხილეთ 2013 წლის 5 აგვისტოს სტატია.ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34elhNB.

› *ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ხონის რაიონის გამგებლის, ზურაბ ჯიბუხაიასა და გამგებლის მოადგილის, მერაბ ჭელიძის საქმე[138], რომელთათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებაც, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად შეირაცხა.[139]*

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

ნანა კალანდაძე - ამ მოსამართლის სახელი უკავშირდება ბადრი პატარკაციშვილის ქონების გაყოფის საქმეს, რომელშიც დავა მიმდინარეობდა ჯოზეფ ქეისა და პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შორის. მოსამართლემ ჯოზეფ ქეი ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად ცნო, თუმცა, უარი უთხრა სამკვიდროს მმართველად აღიარებაზე.[140]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

ნიკოლოზ მარსაგიშვილი[141] - ამ მოსამართლემ განიხილა ე.წ. „ხორავას ქუჩის საქმე“, კერძოდ, დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობისთვის მსჯავრდებულის, მიხეილ კალანდიას, საქმე[142], რომლის ადვოკატების საჩივრის შედეგად, მიმდინარე წელს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო.[143]

ვალერიანე ფილიშვილი - მისი სახელი უკავშირდება 2019 წლის 18 ნოემბრის აქციის დაშლისას დაკავებული პირების საქმეებს, რომლებსაც ადმინისტრაციული სასჯელები, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა, მიუსაჯა.[144] საყურადღებოა, რომ სასამართლო განხილვები ძალზე ხანმოკლე იყო, ამასთან, მოსამართლემ დაცვის მხარეს არაგონივრული დრო მისცა მტკიცებულებების მოსაპოვებლად. საპროტესტო აქციები პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მიერ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შესახებ კანონპროექტის ჩაგდებას მოჰყვა.[145] სპეცრაზმმა აქცია იმის გამო დაშალა, რომ მისი მონაწილეები „ქართული ოცნების“ დეპუტატებს პარლამენტში შესვლის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ამ მოსამართლემ განიხილა, ასევე, ლეიბორისტული პარტიის წევრის, ლაშა ჩხარტიშვილის საქმეც, რომელიც 2019 წლის 29 ნოემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზე „ლობიოს

138 იხილეთ 2014 წლის 13 თებერვლის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31mV8LK.

139 იქვე.

140 იხილეთ 2009 წლის 28 აპრილის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TdeXAV.

141 ნიკოლოზ მარსაგიშვილი 2019 წელს გარკვეული ვადით იმყოფებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ვიდრე მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში გადავიდოდა.

142 იხილეთ 2020 წლის 5 მარტის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o85Z61.

143 იხილეთ 2020 წლის 6 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ogVY6X.

144 იხილეთ ვალერიანე ფილიშვილის მიერ განხილული საქმეები და გამოყენებული სასჯელის სახეები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IgmgFC.

145 იხილეთ 2019 წლის 21 ნოემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jcRhXJ.

აყრისათვის“ დააკავეს.[146] მას 8-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.[147]

ლელა ჭინჭარაული - კიდევ ერთი მოსამართლეა, რომელიც 2019 წელს, პარლამენტთან დაკავებული აქციის მონაწილეთა საქმეებს განიხილავდა.[148]

ბადრი შონია[149] - ამ მოსამართლის სახელს უკავშირდება ისეთი გახმაურებული საქმეები, როგორებიცაა:

- *ე.წ. „ციანიდის“ საქმე;*[150]
- *ე.წ. „ბირჟა მაფიის“ საქმე;*[151]
- *კლუბ „ბასიანის“ დაცვის დაჭრის საქმე;*[152]
- *ივანე მერაბიშვილის ბრალდების საქმე 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას, უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში.*[153]

მანუჩარ ცაცუა და **ლელა მილდენბერგერი** - მათ სახელებს უკავშირდება ე.წ. „შმაქსისტების საქმე[154], რომლის განხილვის შედეგადაც ძალაში დატოვეს მათთვის დაკისრებული ჯარიმები.[155] მანუჩარ ცაცუამ განიხილა, ასევე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის, მანუჩარ ჩხეტიას საქმეც[156], რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სამართალდამცავების შეურაცხყოფაში სდებდნენ ბრალს. არასაკმარისი მტკიცებულებების გამო მოსამართლემ დაკავებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.[157]

ნინო თარაშვილი - მან 2020 წლის 3 იანვარს პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული „ლეიბორისტული პარტიის“ წევრის, ლაშა ჩხარტიშვილის საქმე განიხილა[158], რომელსაც წვრილმან

146 იხილეთ 2019 წლის 1-ლი დეკემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jfJSqX.

147 იქვე.

148 იხილეთ 2019 წლის ნოემბერში, პარლამენტთან გამართული საპროტესტო აქციების პერიოდში დაკავებული პირების სასამართლო სხდომის შესახებ მომზადებული სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3keeTww; ასევე იხილეთ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული სამართლებრივი შეფასება, გვ. 14. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o7uOPJ.

149 საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2012-2013 წლებში სახალხო დამცველმა ორჯერ მოითხოვა მოსამართლე ბადრი შონიას მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა, თუმცა, მისი მოთხოვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რეაგირების გარეშე დატოვა. იხილეთ 2015 წლის 28 ოქტომბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o2CrXN.

150 იხილეთ 2017 წლის 5 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m5MM3i.

151 იხილეთ 2018 წლის 16 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TaCDWt.

152 იხილეთ 2018 წლის 20 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o65QA5.

153 იხილეთ 2013 წლის 30 მაისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34eYvXe.

154 იხილეთ 2020 წლის 17 ივლისის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2H7XFmp.

155 იქვე.

156 იხილეთ 2019 წლის 12 აპრილის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37p4NoY.

157 იქვე

158 იხილეთ 2020 წლის 3 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jNxXS6.

ხულიგნობას და დაუმორჩილებლობას ედავებოდნენ.[159] მას 3000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.[160]

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

ეკატერინე პართენიშვილი[161] - ამ მოსამართლის სახელს არაერთი გახმაურებული საქმე უკავშირდება. კერძოდ:

- *დავით მუმლაძის მკვლელობის საქმე, რომელშიც პოლიციის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები ფიგურირებდნენ;*[162]

- *„მელტონიანების საქმე“, რომელიც ქვემო ქართლში ოჯახებს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობას შეეხებოდა.*[163] *ამ საქმეში ადვოკატები მოსამართლის მიკერძოებულობაზე საუბრობდნენ.*[164] *მათ მოგვიანებით ეს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს.*[165]

- *2012 წლის აგვისტოში განიხილა და არ დააკმაყოფილა რუსთავის საოლქო-საარჩევნო კომისიის სარჩელი, რომელიც რუსთავის თვითმმართველობის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის 1000 ლარით დაჯარიმებას ითხოვდა, რადგან მას კაბინეტში გაკრული ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო №5-ის მითითებით ერთი მცირე ზომის პლაკატი და მის გვერდით მიხეილ სააკაშვილის პოსტერი.*[166]

ბიძინა სტურუა - ამ მოსამართლის სახელს უკავშირდება 2019 წლის ივლისში შეკვეთილში ე.წ. „გააღვიძე ოლიგარქის“ აქციის წევრების საქმე, რომლებიც სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით გაფრთხილება მისცა, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საშიშ პრეცედენტად იქნა აღქმული.[167] ის იხილავს, ასევე, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების საქმესაც.[168]

159 იხილეთ 2020 წლის 8 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34em2Yh.

160 იქვე.

161 ეკატერინე პართენიშვილი 2019 წელს გარკვეული ვადით იმყოფებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ვიდრე მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადავიდოდა.

162 იხილეთ 2020 წლის 24 იანვრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31Gkuon.

163 იხილეთ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2019 წლის აპრილის სამართლებრივი დასკვნა და რეკომენდაციები „მელტონიანების საქმეზე“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dK6hLN.

164 იხილეთ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2019 წლის აპრილის სამართლებრივი დასკვნა და რეკომენდაციები „მელტონიანების საქმეზე“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dK6hLN.

165 იხილეთ 2019 წლის 3 დეკემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Hie5bA.

166 იხილეთ 2012 წლის 5 სექტემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dHVHom.

167 იხილეთ 2019 წლის 10 სექტემბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Hazrle.

168 იხილეთ 2020 წლის 19 ოქტომბრის სტატია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37rGvuy.